საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეწეკევნელები

მეწეკევნელები, ხალხი, რომელიც მოხსენიებულია სუმბატ დავითის ძესთან (XI ს.) და sin-50-ის (სინას მთის ხელნაწერი) მინაწერში. სუმბატის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ (გ. 641), როცა 628 შემოდგომაზე თურქთა მიერ თბილისის კალის ციხის აღების ამბავი შეიტყო, გარდაბნიდან „მიცვალა ლალს“, სადაც „ნათელ-სცა“ მ-ებს, მათ მთავარს ვარაზ-გრიგოლს, მ-ის განსახლების ტერიტ-ზე ააგო ეკლესიები და დადგა ჯვარი (ამ ჯვარს მარნეულის მუნიციპ. სოფ. ყაჩაღანის მახლობლად მიაკვლიეს).

„ლალი“ IV ს. 30-იან წლებში მეფე მირიანის სიძის – ფეროზის მიერ „რანისა და მოვაკანის საპიტიახშოს“ დას. ნაწილში აგებული ციხის, პერიჟა-კაფას (იგივე ფეროზის კარი, გვიანდელი – გაგი, აღჯაყალა) არაბული სახელია. IV ს-ში ამ საპიტიახშოს ტერიტ-ზე დასახლდნენ ირანიდან ფეროზის მიერ მოყვანილი მაზდეანური რწმენის „დიდ სპაში“ შემავალი ირანელები. 628 შემოდგომაზე მათი შთამომავლები და მთავარი მონათლა ჰერაკლემ.

sin-50-ის მინაწერში მ-ის (მეწკევნელთა) სახლის წარმომადგენლები დასახელებული არიან იმ პირთა შორის, რ-ებმაც გარეჯის მონასტერს ნივთები შესწირეს და „ოდეს სარკინოზობაQ აღდგებოდა“ ხიდარიდან ზედაზნის მონასტერში „ვარაზ-ბაკურ Hიდარელისა“ და მისი ოჯახის (ორი ვაჟის, სამი ასულისა და მეუღლის) ნეშტები გადაასვენეს. როგორც გაირკვა, sin-50-ის მინაწერში მოხსენიებული „ვარაზ-ბაკურ Hიდარელი“ IV ს-ში მოღვაწე მეფე ვარაზ-ბაკური კი არა, ქართლის ერისმთავარი ვარაზ-ბაკურ ბაგრატიონია, რ-იც იმპ. იუსტინიანე II-ის დიდმოხელე, ოფსიკიონის თემის სტრატეგოსი იყო. იგი 711 წ. 11 დეკემბერს კონსტანტინოპოლში უზურპატორი იმპერატორის, ვარდან ფილიპიკის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. არაბი სარდლის,

ჯირაჰის 729 ქართლში შემოსვლისა და ქართველებთან „დაცვის სიგელის“ განახლების შემდეგ (ეს იყო „სარკინოზობის აღდგენა“), 731 ქართლის მმართველად მის ხელმეორედ დანიშვნას დაემთხვა ქართლიდან დევნილი სტეფანოზ II ფარნავაზიანის ძის, არჩილის ეგრისიდან ქართლში გადმოსვლა და ხიდარში დაჯდომა (შემდეგში მან ქართლის ერისმთავრის, სტეფანოზ III-ისაგან სამართავად კახეთი მიიღო). როგორც ჩანს, მისი მოთხოვნით ფარნავაზიანთა ერთ-ერთი ძველი რეზიდენციიდან – ხიდარიდან რუვისთაველებთან ერთად გადაასვენეს ვარაზ-ბაკურისა და მისი ოჯახის წევრთა ნეშტები. VII ს. ბოლოსათვის მ-ის განსახლების ტერიტ-ზე (სუმბატის ცნობით გარდაბანში) კიდევ ყოფილან მაზდეანები, რ-ებიც ვარაზ-ბაკურმა ერისმთავრობისას „მოაქცივნა“.

VII ს. „სომხურ გეოგრაფიაში“ არსებული ცნობით, რადგან წანართა მიწაზე მდებარე „დარიალისა“ და „ცეკანის“ („კცეკანის“) კარების (გასასვლელების) სახელები იქ მცხოვრები ხალხისაგან მომდინარეობს, ვარაუდობენ რომ „ცეკანში“ (კცეკენი) ალბანეთისა და ქართლისაკენ მიმავალი გზების დამცავი ციხე – პეროჟა-კავა (ლალი, XI ს-იდან – გაგი) უნდა იგულისხმებოდეს.

წყარო: სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წგ. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ა ლ ე ქ ს ი ძ ე ზ., ახალი ცნობა „რუვისთაველთა სახლის“ შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, 1991, 5 აპრილი; გ ო ი ლ ა ძ ე ვ., ოფსიკიონის თემის სტრატეგოსის ვარაზ-ბაკურის ვინაობის საკითხისათვის, ბიზანტიოლოგია საქართველოში, თბ., 2007, ჟურნ. ისტორიანი, 2012 წ. ნოემბერი, #11/23.

ვ. გოილაძე